

თავდებობის ხელშეკრულების
ძირითადი პირობები

შინაარსი

1. ტერმინთა განმარტებები.....	3
2. განცხადებები და გარანტიები	3
3. თავდებობის ზოგადი პირობები	4
4. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა.....	5
5. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა.....	5
6. კომუნიკაცია.....	5
7. კონფიდენციალურობა	5
8. მხარეთა სიმრავლე.....	6
9. სხვა პირობები.....	6

1. ტერმინთა განმარტებები

- 1.1 თუ თავდებობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, თავდებობის ხელშეკრულებაში ქვემოთმოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
- 1.1.1 ანგარიში - ბანკში არსებული თავდების საბანკო ანგარიშ(ებ)ი;
- 1.1.2 ბანკი - სს „ლიბერთი ბანკი“ (ს/კ 203828304), რომელიც წარმოადგენს თავდებობის ხელშეკრულების მხარეს;
- 1.1.3 ბიურო - საკრედიტო საინფორმაციო ბიურო(ებ)ი;
- 1.1.4 განცხადებები და გარანტიები - თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების მე-2 მუხლში მოცემული თავდების განცხადებები და გარანტიები. ასევე, თავდებობის ხელშეკრულებით ან/და მის ფარგლებში დადებული გარიგებ(ებ)ით განსაზღვრული თავდების განცხადებები და გარანტიები;
- 1.1.5 დამატებითი პირობები - თავდებობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ან მხარეთა შორის შეთანხმებული: (ა) დამატებითი პირობები, რომელიც არ არის გათვალისწინებული თავდებობის ხელშეკრულებით ან/და (ბ) შეცვლილი პირობები, რომლითაც იცვლება და განსხვავებულად რეგულირდება თავდებობის ხელშეკრულების კონკრეტული მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი;
- 1.1.6 დანართი - მხარეთა შორის მატერიალური ან/და ელექტრონული ფორმით დადებული ნებისმიერი დანართი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს თავდებობის ხელშეკრულებას ან/და მის პირობებს და წარმოადგენს თავდებობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
- 1.1.7 თავდები - თავდებობის ხელშეკრულებით თავდებად განსაზღვრული პირი, რომელიც წარმოადგენს თავდებობის ხელშეკრულების მხარეს;
- 1.1.8 თავდებობის ხელშეკრულება - თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების, თავდების მიერ ბანკისათვის წარდგენილი განაცხად(ებ)ის, თავდებობის ხელშეკრულების ან/და ნებისმიერი დამატებითი განაცხად(ებ)ის/დანართ(ებ)ის ერთობლიობა, რომელიც დაიდო/დაიდება თავდებობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;
- 1.1.9 თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები - წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები, რომელიც წარმოადგენს თავდებობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: www.libertybank.ge
- 1.1.10 კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქმედი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;
- 1.1.11 კონფიდენციალური ინფორმაცია - თუ თავდებობის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, თავდებობის ხელშეკრულების დადების ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია მხარის პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, მხარის მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;
- 1.1.12 მესამე პირ(ებ)ი - ნებისმიერი პირი, რომელიც არ წარმოადგენს თავდებობის ხელშეკრულების მხარეს;
- 1.1.13 მოვალე ან მოვალეები - ძირითადი ხელშეკრულების არსებული ან/და სამომავლო მხარე(ები), რომლის/რომელთა ბანკის წინაშე არსებულ ვალდებულებებსაც უზრუნველყოფს თავდებობის ხელშეკრულება;
- 1.1.14 მხარე/მხარეები - ბანკი ან/და თავდები კონტექსტის შესაბამისად;
- 1.1.15 პირი/პირები - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;
- 1.1.16 საბანკო დღე - ბანკის მიერ დადგენილი სამუშაო დღის (ბანკის მიერ განსაზღვრული დასვენების ან/და კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა) ის ნაწილი, რომლის განმავლობაშიც ბანკი ახორციელებს სრულ საბანკო მომსახურებას;
- 1.1.17 უზრუნველყოფილი მოთხოვნა - ბანკის მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულებიდან (მათ შორის ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდანაც), ასევე თავდებობის ხელშეკრულებიდან. უზრუნველყოფილი მოთხოვნა სრულად მოიცავს მოვალე(ებ)ის მიმართ არსებულ, მომავალში წარმოშობილ ან/და პირობით მოთხოვნებს, მათ შორის და არამარტო ათვისებული კრედიტის ძირითად თანხას, საპროცენტო სარგებელს, საკომისიოებს, პირგასამტეხლოს, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხებს, აგრეთვე ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის, სასამართლოს/არბიტრაჟის, აღსრულების ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ხარჯებს. უზრუნველყოფილი მოთხოვნას ასევე წარმოადგენს ბანკის ყველა მოთხოვნა (მათ შორის მოვალის მიერ ფაქტობრივად მიღებულ ან/და გამოყენებულ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) წარმოშობილი ძირითადი ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე, რამდენიმე ან ყველა გარიგების შეწყვეტის (მათ შორის ბათილად ცნობის) შედეგად;
- 1.1.18 უზრუნველყოფის საშუალება - ნებისმიერი საშუალება (იპოთეკა, გირავნობა, თავდებობა, საბანკო გარანტია და სხვა), რომლითაც უზრუნველყოფილია ბანკის წინაშე უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად და ჯეროვნად შესრულება.
- 1.1.19 ძირითადი ხელშეკრულება - თავდებობის ხელშეკრულებით ასეთად განსაზღვრული ხელშეკრულებ(ებ)ი (რაც მოიცავს არსებულ ან/და მომავალში გაფორმებულ ძირითადი ხელშეკრულების ნებისმიერ დანართს, ცვლილებებს ან/და დამატებებს) და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებები (ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია ან დაიდება ძირითადი ხელშეკრულების საფუძველზე და რომლის მხარეებსაც წარმოადგენენ არსებული ან/და სამომავლო მოვალე(ებ)ი), რომელიც წარმოადგენს უზრუნველყოფილი მოთხოვნის საფუძველს;

2. განცხადებები და გარანტიები

- 2.1 თავდები აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
- 2.1.1 წარმოადგენს უფლებასწარმო ან და ქმედუნარიან პირს, რომელსაც თავდებობის ხელშეკრულების დადების მიზნით მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და დავალება (მინდობილობა);
- 2.1.2 მისთვის ცნობილია და ეთანხმება, (ა) თუ რა სახის და მოცულობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად დგება თავდებად, (ბ) ძირითადი ხელშეკრულების პირობებს (მასში შესული ცვლილებების ან/და დამატებების გათვალისწინებით);
- 2.1.3 მის (თავდების) მიერ თავდებობის ხელშეკრულების დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან (მათ შორის თავდების იურისდიქციის კანონმდებლობასთან), საერთაშორისო ნორმებთან ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან, არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს მესამე პირ(ებ)ისათვის თავდებობის ხელშეკრულებაზე შევილებების უფლებას;
- 2.1.4 თავდების მიმართ არ მიმდინარეობს სასამართლო ან/და საარბიტრაჟო დავა, ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც/რომლებიც ხელს შეუშლის/შეუშლიან მის მიერ თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 2.1.5 წარმოადგენს გადახდისუნარიან პირს, რომლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუნარიანობის (გაკოტრების ან რეაბილიტაციის) საქმისწარმოება, ლიკვიდაციის პროცესი ან/და არ არსებობს სხვა სახის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას;
- 2.1.6 თავდებობის ხელშეკრულების დადების მიზნით, ბანკისათვის წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო წარდგენილი დოკუმენტები წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;
- 2.1.7 თავდებობის ხელშეკრულების დადების მიზნით, ბანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, თავდების ან მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, ბანკს არ გამოუყენებია ბოროტად ბანკის საბანკო ძალაუფლება;
- 2.1.8 თავდებობის ხელშეკრულება საფუძველს არ წამოადგენს მოვალის დავალება, აგრეთვე თავდები არ მოქმედებს როგორც მოვალის რწმუნებული (მათ შორის არ მოქმედებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების წარმართვის წესების შესაბამისად);

2.1.9 თავდებისთვის ნათელია, თუ რა სახის და მოცულობის ვალდებულებებიდან, ასევე **მოვალ(ებ)ის** მიერ მომავალში დასადები ხელშეკრულებ(ებ)იდან, წარმოშობილ არსებულ და სამომავლო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად უდგება **მოვალ(ებ)ს** სოლიდარულ თავდებად. თავდები სრულად იცნობს **ძირითადი ხელშეკრულების** მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და დანართების ტექსტს, მისთვის გასაგები და მისაღება მასში/მათში მითითებული პირობები;

2.2 თავდები ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს **ბანკს** ნებისმიერი გარემოებ(ებ)ის შესახებ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს თავდების ხელშეკრულებაში მითითებული განცხადებებისა და გარანტიების ან/და თავდების ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევა.

2.3 მხარეები აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ თავდების ხელშეკრულებას დებენ განცხადებებსა და გარანტიებზე დაყრდნობით და თვლიან მათ თავდების ხელშეკრულების პირობებად. შესაბამისად, თავდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული განცხადებებისა და გარანტიების დარღვევა საკმარის საფუძველს წარმოადგენს **ბანკის** მიერ **ძირითადი ხელშეკრულების** ფარგლებში გაცემული ნებისმიერი კრედიტის უკან გამოსათხოვად ან/და **ძირითადი ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ყველა ან ნებისმიერი ვალდებულების შესრულებაზე (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს კრედიტის გაცემას) ცალმხრივი უარის სათქმელად. **ბანკის** მიერ კრედიტის გამოთხოვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს **ძირითადი ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ნებისმიერი კრედიტი, მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და დაკისრებული პირგასამტეხლო, ასეთის არსებობის შემთხვევაში. **ბანკის** ასეთი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია თავდების ხელშეკრულებით და **კანონმდებლობით** განსაზღვრული წესით მოითხოვოს დაკმაყოფილება თავდებისგან.

3. თავდების ზოგადი პირობები

- 3.1. თავდების პასუხისმგებლობა შემოიფარგლება თავდების ხელშეკრულებით თავდების პასუხისმგებლობისთვის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური ოდენობის თანხის (ან მისი ექვივალენტის (ვალდებულების შესრულების (ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ) თარიღისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსით)) ფარგლებში.
- 3.2. **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს **კანონმდებლობით** დადგენილი ყველა მოქმედება თავდების ქონებაზე გადახდევინების მიქცევისათვის, **მოვალის** მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ადგილი აქვს:
- 3.2.1. **მოვალ(ებ)ის** მიერ **ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას; ან/და
- 3.2.2. **მოვალის** მიერ თანხის გადახდის ვადაგადაცილებას, რის თაობაზეც უშუალოდ იქნა გაფრთხილებული **ბანკის** მიერ ან/და **მოვალის** აშკარა გადახდისუწარმოებს (მათ შორის, **ბანკის** შეფასებით, საჭიროა **მოვალის** მიერ უზრუნველყოფილი მოთხოვნებიდან გამომდინარე ვადადამდგარი რომელიმე ფულადი ვალდებულების შესრულება), ან/და ვალის ვადადამდგამი გამოთხოვას **ბანკის** მიერ და მის გადაუხდელობას; ან/და
- 3.2.3. თავდების მიერ თავდების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას; ან/და
- 3.2.4. **კანონმდებლობით** ან/და **ძირითადი ხელშეკრულებით** განსაზღვრულ სხვა შემთხვევებს.
- 3.2.5. უზრუნველყოფილი მოთხოვნებიდან გამომდინარე რომელიმე ფულადი ვალდებულების ვადის დადგომის დღეს **მოვალის** მიერ ასეთი ფულადი ვალდებულების თბილისის დროით 18:00 საათამდე შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას.
- 3.3. **ბანკი** ვალდებულია თავდების ხელშეკრულების საფუძველზე თავდებისათვის მოთხოვნის წაყენებამდე (ან ამგვარ მოთხოვნამდე) აცნობოს თავდებს 3.2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებ(ებ)ის დადგომის თაობაზე, ხოლო თავდების მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, მიაწოდოს მას ცნობები **მოვალის** ვალის მდგომარეობის შესახებ;
- 3.4. თავდები **ბანკის** წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, რაც გულისხმობს **ბანკის** სრულ უფლებამოსილებას **მოვალის** ვალდებულების დაფარვის მიზნით გადახდევინება განახორციელოს თავდების ნებისმიერი ქონების ან აქტივების ხარჯზე;
- 3.5. **ბანკი** უფლებამოსილია თავდების მიმართ ისარგებლოს **კანონმდებლობით** მისთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.
- 3.6. თავდები იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს **ბანკს** თავდების მიერ თავდების ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და თავდების ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
- 3.7. უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების (მათ შორის ზიანის/ზარალის დაფარვის მიზნით) მიზნით, თავდები აცხადებს თანხმობას **ბანკის** უფლებამოსილებაზე, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ვადის დადგომიდან ნებისმიერ დროს, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ:
- 3.7.1. განახორციელოს **ბანკში** თავდების ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება; ან/და
- 3.7.2. **ბანკში** არსებული თავდების ნებისმიერი ანგარიშიზე უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად კრედიტის თანხა ან/და კრედიტის თანხასთან დაკავშირებული გადასახდელი) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება, ასევე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს თავდების ანგარიშიდან.
- 3.8. **ბანკის** წინაშე **მოვალის** ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნით **ბანკს** უფლება აქვს მოითხოვოს გადახდევინების მიქცევა **მოვალის** ნებისმიერ ქონებაზე იმის მიუხედავად უზრუნველყოფილია თუ არა **მოვალის** ვალდებულებები უზრუნველყოფის საშუალებებით. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გადახდევინება პირველ რიგში მიაქციოს **მოვალის** იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალების საგანს.
- 3.9. თავდები აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** უფლებამოსილებაზე (ა) რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა და (ბ) უზრუნველყოფილი მოთხოვნით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახდელის გადახდამდე, **ბანკში** არსებული წესების და პროცედურების გათვალისწინებით, უაქცეპტოდ დაალოკოს თავდების **ბანკში** არსებული ნებისმიერი სახის ანგარიში.
- 3.10. თავდების ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თავდები უარს აცხადებს მის უფლებაზე:
- 3.10.1. წამოაყენოს **მოვალის** კუთვნილი შესაგებლები **ბანკის** მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 3.10.2. უარი თქვას **ბანკის** დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა **მოვალის** უფლება სადავო გახადოს **ძირითადი ხელშეკრულება** ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე გარიგება, რომელიც საფუძვლად უდევს მის ვალდებულებებს; და
- 3.10.3. ნებისმიერი მიზეზით მოითხოვოს თავდებისგან გათავისუფლება;
- 3.11. თავდები ვალდებულია:
- 3.11.1. **ბანკის** წერილობითი მოთხოვნით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში **ბანკისათვის** მისაღები ფორმით მიაწოდოს **ბანკს** დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელიც (ა)ასახავს თავდების საერთო აქტივებს/ქონებას, ფინანსურ მდგომარეობას (მათ შორის, ბალანსი და მოგება-ზარალის უწყისი), საქმიან ოპერაციებს, ამონაწერებს საბანკო ანგარიშებიდან (მათ შორის, სხვა საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებში არსებული ანგარიშებიდან) და ანგარიშგებას (საგადასახადო ანგარიშების ჩათვლით), (ბ) ასახავს მონაცემებს იმ შესაძლო, პოტენციური ან/და არსებული ადმინისტრაციული, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) ან/და სხვა მსგავსი დავების ან/და სამართალწარმოების შესახებ, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს თავდების მიერ თავდების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, თავდების აქტივებთან/ქონებასთან, გადახდისუწარმოებასთან/გაკონტროლებასთან დაკავშირებულ დავებს ან სამართალწარმოებას, (გ)აუცილებელია **ბანკის** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დასაცავად და შესასრულებლად ან/და (დ)მოთხოვნილია **ბანკის** მიერ გონივრულობის ფარგლებში (თავდების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით);
- 3.11.2. **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე როგორც ორიდელუბა პირმა ან სხვა ორგანიზაციულმა წარმომადგენელმა, რომელიც არ წარმოადგენს ორიდელუბა პირს არ დაუშვას ძირითადი საქმიანობის სფეროს შეცვლა, როგორცაა (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაცია;
- 3.11.3. არ დაუშვას საკუთარი აქტივების/ქონების ან მისი/მათი ნაწილის განკარგვა ან/და სხვაგვარად დატვირთვა, ან/და არ იკისროს იმგვარი ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, ან/და არ განახორციელოს იმგვარი საქმიანობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს თავდების მიერ თავდების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
- 3.11.4. საკუთარი და მისი შეიღობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება აწარმოოს **კანონმდებლობით** დადგენილი წესებისა და პროცედურების დაცვით, ხოლო **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში **ბანკის** ან/და **მოვალის** ხარჯით დაუშვას **ბანკის** მიერ შერჩეული აუდიტორი ამგვარი ფინანსური ანგარიშგების შესამოწმებლად;
- 3.11.5. უზრუნველყოს განცხადებებისა და გარანტიების, თავდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა ან/და სხვა პირობების დაცვა.
- 3.12. თუ თავდების ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული თანხა არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარად, თავდები იღებს ვალდებულებას უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაფარვის შედეგად **მოვალ(ებ)ის** მიმართ წარმოშობილი ფულადი ვალდებულების რეგრესის/სუბროგაციის წესით

მოთხოვნა განახორციელოს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება დაკმაყოფილებული **ბანკის** წინაშე არსებული **უზრუნველყოფილი მოთხოვნებიდან** გამომდინარე **მოვალეობის** ფულადი ვალდებულებები.

4. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

- 4.1 თავდებობის ხელშეკრულება ძალაში შედის **მხარეთა** მიერ შესაბამისი ნების გამოვლენის (**მხარეთა** ხელმოწერის ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხების საშუალებით **მხარეთა** მიერ თანხმობის გაცხადების) დღიდან და მოქმედებს **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.
- 4.2 **მხარეთა** ნება თავდებობის ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილად ჩაითვლება თავდებობის ხელშეკრულებაზე: (ა) ხელმოწერით ან (ბ) თანხმობის გამოხატვით (მათ შორის **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხების საშუალებით, როგორცაა მაგალითისთვის ინტერნეტ ბანკინგი, მობილ ბანკინგი, მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) მიღებით/გაგზავნით და სხვა). ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა.
- 4.3 თავდებობის ხელშეკრულებით ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია თავდებობის ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა:
- 4.3.1 **უზრუნველყოფილი მოთხოვნებიდან** გამომდინარე ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;
- 4.3.2 **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით;
- 4.3.3 თავდებობის ხელშეკრულებით ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 4.4 თუ თავდებმა თავდებობის ხელშეკრულება **ბანკთან** დადო **მოვალის** დავალების (რწმუნებულების ან სახელშეკრულებო ვალდებულების) საფუძველზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 904-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას თავდებმა თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან გათავისუფლების მიზნით უნდა მიმართოს **მოვალეს**. ასეთ შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხოლოდ თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების 4.3.1. პუნქტით განსაზღვრული პირობის დაცვით.
- 4.5 თავდებობის ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს თავდებს თავდებობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დარჩენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.
- 4.6 თუ თავდებობის ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის შედეგები (მათ შორის პასუხისმგებლობა) არ არის გათვალისწინებული თავდებობის ხელშეკრულებით, მაშინ **მხარეები** იხელმძღვანელებენ შესაბამისი **კანონმდებლობით**.

5. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

- 5.1. თავდებობის ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული თავდებობის ხელშეკრულებით **მხარეები** იხელმძღვანელებენ **კანონმდებლობით** დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებითი შეთანხმებული პირობებით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ თავდებობის ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიიჩნევა **ბანკის** იურიდიული მისამართი.
- 5.2. თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** იურიდიული მისამართის მიხედვით.

6. კომუნიკაცია

- 6.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ურთიერთობა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და მიეწოდოს **მხარეს თავდებობის ხელშეკრულებაში** ან/და **ბანკთან** არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიქსური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტ-ბანკის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:
- 6.1.1. თავდების მიერ **ბანკისათვის** პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება **ბანკის** კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, **ბანკის** მიერ თავდებისათვის მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;
- 6.1.2. **ბანკის** მიერ თავდებისათვის კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება თავდებისათვის ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში თავდების მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისთვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;
- 6.1.3. თუ თავდებისათვის კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მისამართზე ვერ ბარდება ადრესატს, **ბანკის** მიერ განხორციელებული ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად **ბანკის** მიერ შეტყობინების განმეორებით გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;
- 6.1.4. **ბანკის** მიერ თავდებისათვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება თავდების ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს, ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;
- 6.1.5. **ბანკის** მიერ თავდებისათვის ფიქსური კავშირგაბმულობის (მოკლექტესტური შეტყობინების), ინტერნეტ-ბანკის, მობილ-ბანკის ან/და **ბანკის** მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.
- 6.2. იმ შემთხვევაში, თუ თავდები თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის თავდებობის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს **ბანკს** ან/და საკორესპოდენტო მისამართზე მყოფი პირი უარს განაცხადებს თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე, **ბანკის** მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

7. კონფიდენციალურობა

- 7.1. **მხარე** ვალდებულია, როგორც თავდებობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 7.2. კონფიდენციალური ინფორმაციის არ განეკუთვნება: (ა) ინფორმაცია რომელიც **კანონმდებლობის** საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და **მხარეთა** შეთანხმება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის **მესამე პირ(ებ)ის** კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.
- 7.3. თავდები გამოსატყვის თანხმობას და **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, **მესამე პირს** შესაძლებელია და დასამუშავებლად გადასცეს ან/და **მესამე პირისაგან** მოიძიოს, მიიღოს და დაამუშავოს თავდების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია (i) თავდების მონიტორინგის, (ii) თავდებთან დაკავშირებული ფინანსური/საინფორმაციო-ანალიტიკური მონაცემების შეგროვების და აღრიცხვის (iii) თავდებისათვის მომსახურების გაწევის, შეთავაზების, პირდაპირი მარკეტინგის (სარეკლამო) ან/და (iv) **კანონმდებლობით** განსაზღვრული სხვა მიზნობრიობით, მათ შორის:

- 7.3.1. **კანონმდებლობით** დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, **ბანკისთვის** აუცილებელი, **თავდების** პერსონალური მონაცემები;
- 7.3.2. **თავდებობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მოთხოვნების **მესამე პირისათვის** დათმობისას, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სინდიცირებისას, ან/და მოთხოვნის დათმობის/სინდიცირების მომზადების ეტაპზე **თავდებობის ხელშეკრულება** და **თავდებობის ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ინფორმაცია **თავდების** შესახებ გადასცეს დაინტერესებულ **მესამე პირს**;
- 7.3.3. საკუთარი კანონიერი ინტერესების დასაცავად ან/და ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების მიზნით **მესამე პირს** (სასამართლო, საგამომიებო ორგანოები და სხვა) გადასცეს **თავდების** შესახებ არსებული ინფორმაცია (მოახდინოს საჯარო შეტყობინება, პუბლიკაცია და სხვა), მათ შორის **თავდების** პერსონალური მონაცემები (ასეთი არსებობისას);
- 7.3.4. გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, **კანონმდებლობით** დადგენილი წესით და პირობებით, დამუშაოს **ბანკში** დაცული ან/და საკრედიტო საინფორმაციო **ბიურო(ებ)ში** არსებული ინფორმაცია **თავდების** შესახებ.
- 7.4. **თავდებისათვის** ცნობილია, რომ **ბანკი კანონმდებლობით** განსაზღვრული და **თავდებობის ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში შეაგროვებს/დამუშავებს **თავდების** შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია **ბიუროსათვის** ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება **თავდების** გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება **ბიუროში** ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გაცემა ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).
- 7.5. **თავდებს** გაცნობიერებული აქვს **კანონმდებლობით** გათვალისწინებული უფლებები, რომ **თავდების** (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებული ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.
- 7.6. **ბიუროსათვის** გადასაცემი და **ბიუროდან** მისაღები ინფორმაცია განისაზღვრება **კანონმდებლობით** და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, შეიძლება მოიცავდეს: **თავდების** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, **თავდებობის ხელშეკრულების** და **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** მონაცემებს, ინფორმაციას **თავდების** მიმდინარე, შესრულებული/შესრულებული ვალდებულებების მოცულობის და ვადების შესახებ, ინფორმაციას **უზრუნველყოფის** საშუალებების თაობაზე, სხვა ინფორმაციას, რომელიც განსაზღვრულია **კანონმდებლობით** ან/და **ბანკსა** და **ბიუროს** შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
- 7.7. **თავდებობის ხელშეკრულების** დადებით **თავდები ბანკს** ანიჭებს უფლებამოსილებას დაამუშავოს **უზრუნველყოფის** საშუალებების მესაკუთრეების, **თავდების** წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების, მმართველობისა და ზედამხედველობის ორგანოების წევრების, პარტნიორებისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების პერსონალური მონაცემები, მათი გადამხდელუნარიანობის შემოწმების მიზნით და ადასტურებს, რომ **ბანკისათვის** აღნიშნული უფლებამოსილებამოსილების გადაცემამდე ამ პუნქტში მითითებული პირებისაგან მოპოვებული აქვს ყველა საჭირო თანხმობა **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესით.
- 7.8. **თავდებობის ხელშეკრულების** მე-7 მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში **ბანკი** უფლებამოსილია ინფორმაციის დამუშავება განხორციელოს მრავალჯერადად, იმ ვადით და პირობებით, რაც აუცილებელია **თავდებობის ხელშეკრულებით** განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება **კანონმდებლობას**.

8. მხარეთა სიმრავლე

- 8.1. თუ **თავდებობის ხელშეკრულება** დადებულია რამდენიმე **თავდების** მიერ, **თავდებობის ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად გავრცელდება თითოეულ მათგანზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი **თავდების** სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ასეთ **თავდებ(ებ)ზე**.
- 8.2. ერთზე მეტი **თავდების** შემთხვევაში, ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს **ბანკის** წინაშე შესრულებელი ვალდებულებების მიმართ. შესაბამისად, **ბანკი** უფლებამოსილია:
- 8.2.1. საკუთარი შეხედულებისამებრ, **თავდებობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულება მოსთხოვოს როგორც ერთ, ასევე რამდენიმე **თავდებს**, ხოლო **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში მათ სამართალმემკვიდრეებს;
- 8.2.2. ერთ-ერთ **თავდებთან** დაკავშირებული ფაქტები გამოიყენოს სხვა **თავდების** მიმართაც;
- 8.3. თითოეული **თავდების** სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება ამ **თავდების ხელშეკრულებასთან** დაკავშირებულ და **თავდებობის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაშიც, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს **თავდები** ამგვარი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მხარეს.
- 8.4. ერთ-ერთი **თავდების** მიერ **თავდებობის ხელშეკრულების** დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **თავდებს** და მის მიმართ ისარგებლოს ამ **თავდებობის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.
- 8.5. **ბანკის** მიერ ერთი ან რამდენიმე (მაგრამ არა ყველა) **მოვალისთვის** ვალის პატიება არ ათავისუფლებს **თავდებს უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სრულად შესრულებისაგან.
- 8.6. **ბანკის** მიერ **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** ერთი ან რამდენიმე სხვა თავდები პირის გათავისუფლება **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** შესრულებისგან (გადახდისგან) არ ათავისუფლებს **თავდებს უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სრულად შესრულებისაგან.

9. სხვა პირობები

- 9.1. **მხარეთა** შორის შეთანხმებულ **თავდებობის ხელშეკრულების** დამატებით პირობებსა (ასეთის არსებობისას) და **თავდებობის ხელშეკრულების** პირობებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება **მხარეთა** შორის შეთანხმებულ დამატებით პირობებს.
- 9.2. თითოეული **მხარე** (ა) უფლებამოსილია ისარგებლოს **თავდებობის ხელშეკრულებით** განსაზღვრული უფლებ(ებ)ით და (ბ) ვალდებულია შეასრულოს **თავდებობის ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ი.
- 9.3. თუ **თავდებობის ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **ბანკის** მოთხოვნა **თავდების** მიერ უნდა შესრულდეს მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 9.4. **თავდებობის ხელშეკრულების** რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის **კანონმდებლობის** საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.
- 9.5. დაუშვებელია **თავდებობის ხელშეკრულებაში** ხელით (მათ შორის კალმით ან/და სხვა საწერი საშუალებებით) რაიმე სახის ჩასწორების/კორექტირების შეტანა, ნებისმიერი ასეთი სახის ჩასწორება/კორექტირება ჩაითვლება ბათილად და ვერ მოახდენს გავლენას **თავდებობის ხელშეკრულების** პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.
- 9.6. **თავდებობის ხელშეკრულებაში** ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია წერილობითი ფორმით **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული ელექტრონული არს(ებ)ის საშუალებით **მხარეთა** მიერ გამოვლენილი ნებით მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, **თავდებობის ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები ან/და დამატებები წარმოადგენს **თავდებობის ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
- 9.7. **თავდები** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **თავდებობის ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **თავდებობის ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. თავის მხრივ, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **მესამე პირს** დაუთმოს **თავდებობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მოთხოვნები ან/და უფლებები.
- 9.8. **თავდებობის ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე**, მათ სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლელებზე.
- 9.9. **ბანკის** მიერ **თავდებობის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებ(ებ)ის (მათ შორის **თავდების** მიერ **თავდებობის ხელშეკრულებიდან** ან/და **კანონმდებლობიდან** გამომდინარე ვალდებულებების დარღვევისას წარმოშობილი უფლებ(ებ)ის) გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებებზე **ბანკის** მიერ უარის თქმის საფუძველს. ამასთან, ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **თავდებობის ხელშეკრულების** ან/და

კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითი და დაემატება თავდებობის ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

9.10. **მხარეები** თანხმდებიან, რომ თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება თავდებს.

9.11. თავდებობის ხელშეკრულებაში არსებული მუხლ(ებ)ი/პუნქტ(ებ)ი/ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილი და დასათაურებულია, ხოლო გამუქებული სიტყვები მოცემულია თავდებობის ხელშეკრულების შინაარსის მოხერხებულად აღქმის მიზნით და არ ახდენს გავლენას თავდებობის ხელშეკრულების პირობ(ებ)ის ინტერპრეტაციაზე.

9.12. **ბანკის** ვებ-გვერდზე ან/და **ბანკის** სხვა საინფორმაციო წყაროებში/არხებში განთავსებულ და **ბანკის** მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის **ბანკის** მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია **ბანკის** დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა **ხელშეკრულებით**, ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულებებით** გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

9.13. თავდები ვალდებულია ხელი მოაწეროს თავდებობის ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, ამასთან თავდების მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს თავდების ხელშეკრულების ან მისი კონკრეტული ნაწილის საეჭვოდ ან სადავოდ გახდის საფუძველი.

9.14. თავდებობის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. **მხარეთა** შეთანხმებით **ხელშეკრულება** დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ თავდებობის ხელშეკრულებას უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ თავდებობის ხელშეკრულების ეგზემპლარებთან მიმართებაში.